საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2954/01
25/03/2022

2954-01-2-202203250952

შპს „ჯი პი პის“

მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47/57

ელ.ფოსტა:b.mekhrishvili@igdevelopment.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 15 მარტის №5610 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, მეფრინველეობის ფერმის, ფრინველის სასაკლაოს და ინსინერატორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის 24-ე პუნქტის მიხედვით, მეფრინველეობის ფერმა (85 000-ზე მეტი სადგომით წიწილებისათვის ან/და 60 000-ზე მეტი სადგომით ქათმებისათვის) ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი წესით, წარმოდგენილი უნდა იქნეს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

ამასთან, 2020 წლის 18 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯი პი პის“ მეფრინველეობის ფერმის, ფრინველის სასაკლაოს და ინსინერატორის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1182) გათვალისწინებული მეფრინველეობის ფერმა (1 800 000 სადგომით ქათმებისთვის) მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფელში.

როგორც სკრინინგის განცხადებიდან ირკვევა, კომპანიის მიერ, არსებული მეფრინველეობის ფერმიდან 3 კილომეტრის დაშორებით, სოფ. მეტეხში დაგეგმილია ანალოგიური ტიპისა და წარმადობის მეფრინველეობის ფერმის (1 800 000 სადგომით ქათმებისთვის) მოწყობა, რომელიც ფუნქციურად და ტექნოლოგიურად დაკავშირებული იქნება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ფრინველის სასაკლაოსა და ინსინერატორთან. თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული სასაკლაოსა და ინსინერატორის წარმადობის გაზრდა გათვალისწინებული არ არის.

გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, არსებული მეფრინველეობის ფერმა მდებარეობს სოფ. ახალსოფელში, ხოლო ახალი ფერმის მოწყობა დაგეგმილია სოფ. მეტეხში, არსებული ფერმიდან დაახლოებით 3 კმ-ში, ახალ ტერიტორიაზე, ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სასაკლაოსა და ინსინერატორის წარმადობა რჩება

უცვლელი, დაგეგმილი საქმიანობა არ წარმოადგენს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და შესაბამისად, არ მიიჩნევა სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე